ოქმი:**ო02. 3725024001**

თარიღი:**24/01/2025**

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2025 წელი, 24 იანვარი
ქ.ოზურგეთი
14.00-14.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, ტ. არუშიძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. სარჯველაძე, გ. შილაკაძე, ბ. ქათამაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 აგვისტოს N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ , კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა, რომ დადგენილებაში ცვლილების შეტანა განპირობებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საქართველოს სახალხო დამცველის ოფისიდან შემოსული წერილით, რომლის თანახმად დადგენილების მუხლი, სადაც წერია-მკვეთრად გამოხატული, ანდა ქვედა კიდურების ამპუტაციის მქონე შ.შ.მ პირები, მიჩნეულია მადისკრედიტერებლად და უნდა ჩაიწეროს შ.შ.მ პირები, რომლებსაც აქვს გადაადგილების უნარის შეზღუდვის პირველი, მეორე ანდა მესამე ხარისხი. კომისიის წევრებმა იმსჯელეს, მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ წინადადებას და მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხი წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და საკითხი წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი